დღეს კომუნისტური შრომის ზეიმის ყველანი—შაბათობაგე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 73 (7384)

16 აპრილი. შაბათი. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ VIII ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲐᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ფუტბოლის პარტიის რაიკომი

ფიზკულტურა მეორეხარისხოვანი საქმე როდია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრობაგდგილა და ავტტკეცის განყოფილებასთან არსებულმა ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საშუალო ჯგუფმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება გორის რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება «ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის შემდგომი ამაღლების შესახებ». მკაფიო დასკვნა იყო ჩამოყალიბებული: ამ მიმართულებით მუშაობა არადამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს.

რაიონში დაუყოვნებლივ გამოქმაურნენ კრიტიკას. საკითხი დაისვა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის ბიუროს განსახილველად. ნაკლოვანებანი, აღნიშნა აქ. იმის შედეგად რომ პარტიის რაიკომის პრობაგდილა და ავტტკეციის განყოფილებამ (გამგე — გ. ჯაბშელი) სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე — შ. ჭკადაძე), სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ჩხეიძე), კომკავშირის რაიკომმა (მდივანი — შ. ქინჩხუაძელი) შესახებ კონტროლი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი. ამას ის მოჰყვა, რომ ფიზკულტურა და სპორტი რაონისში უყურადღებოდ არის მიტოვებული. ზოგიერთ ხელმძღვანელს უკვე მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

რაიონის სპორტკომიტეტს დაევალა უახლოეს ხანში სათანადოდ გარდაქმნის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობა, ყოველ სხელმაზე განიხილოს ძირეულ ორგანიზაციათა მუშაობა, დაიწესოს მკაცრი კონტროლი «შთ» ნორმატივების ჩაბარებას, სპორტული სექციებისა და ჯგუფების მეცადინეობას, მაიდწოს იმას, რომ ფიზკულტურამ და სპორტმა მტკიცედ მოიკიდოს ფეხი თითოეულ ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნებაყოფლობითი სპორტსზოგადოება «ლოკომოტივის» რაიონულ საბჭოსთან ერთად გააძლიეროს სპორტსმენთა — რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრთა მომზადება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ამასთან ერთად რაიკომმა სპორტსაზოგადოება «ლოკომოტივის» რაიონულ საბჭოს მიუთითოს, რომ საჭიროა ფართოდ ჩაბას მწრობიდები და მოსწავლე ახალგაზრდობა ფიზკულტურულ და სპორტულ სექციებში, შექმნას ისინი სპორტმოედში, მეორეხარისხოვან საქმედ არ მიეტოვებინოს და ავტტკეციის განყოფილებამ (გამგე — გ. ჯაბშელი) სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ჭკადაძე), სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ჩხეიძე), კომკავშირის რაიკომმა (მდივანი — შ. ქინჩხუაძელი) შესასრულებლად დანიშნოს «იმედის სტარტის» სპორტული შეჯიბრებანი და სხვ. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან ერთად გამოავლინოს სისტემატიურად ბავშვები, ვისაც სპეციალურ სამედიცინო ალრიცხვაზე, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა შეიმუშაოს სპორტული ბანების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ორწლიანი გეგმა და უზრუნველყოს მისი თანამშრომლებისა განხორციელება.

საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომმა მკაცრი სასჯელები დაადო იმათ, ვისი მიზეზითაც რაონში ჩაშლილია ეს მნიშვნელოვანი მუშაობა. მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, სპორტული ბაზების არადანშნულებისამებრ გამოყენებისათვის, სპორტული ბაზების არადანშნულებისამებრ გამოყენებისათვის ქიშნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს გ. ნოიჯაშვილსა და მეურნეობის დირექტორს მ. ჭოლოყანიძეს გამოცხადათ საყვედურები. კარალეთისა და შავშვების საბჭოთა მეურნეობების და რაიკოპერატივის პარტიული ორგანიზაციათა მდივნებს: გ. მორადაშვილს, ჰ. ზაქარიაძეს, მ. მშვილდაძეს, ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს მ. წვერავას, ო. ოთსუბიძესა და ო. სუხიშვილს მიეთითათ, შინისის, ახალუბნის, გარეჯარეთისა და ქიშნისის საშუალო სკოლების დირექტორებს თ. სიმონიშვილს, გ. აკოფაშს, გ. გვერდწოელსა და ო. ნადირაძეს გამოეცხადათ საყვედური. რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თ. ქიმერიძის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს რაიკომი განიხილავს მისი გამოჯანმრთელების შემდეგ. შინდისის, ქიშნისისა და გარეჯვარის საშუალო სკოლების დირექტორებს და გარეჯვარის საშუალო სკოლის დირექტორებს დაევალათ განიხილონ ფიზკულტურის მასწავლებელთა სამსახურებრივი შესაბამისობის საკითხი.

ცნობად არის მიღებული, რომ საზოგადოება «კოლმეურნის» რაიონული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ს. ჭარელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისათვის განთავისუფლებულია თანამედგომლიდან.

რაიონის სკოლებში ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ნაკლოვანებებისათვის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ა. ჩხეიძეს მიეთითათ. იმის გამო, რომ კოლტუროს არ უწევდა და მომთხოვნელობას არ იჩენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებაში, პარტიის გორის რაიკომის პრობაგდილა და ავტტკეციის განყოფილების ინსტრუქტორს ზ. რევაზიშვილს გამოეცხადა საყვედური. დასაწყებ ადრეთვე სხვა პირები, რომელთა მიზეზით მესხეთი ყურადღება მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. (საინფორმაციო).

საქართველოს სსრ ზაფხულის VIII სპარტაკიადის გუნდური შედეგები 16 აპრილისთვის

(ქალაქებისთვის ქალეთა და ვაეთა, ფრენბურთელ ვაეთა, ჩოგბურთელთა, ხელბურთელთა ახალგაზრდობისა და მრავალდღიანი საგზაო-კვლევო ველოსიპედის შეჯიბრებანი).

ᲐᲡᲚᲜ, ᲐᲛ. ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

1. თბილისი — 1562 ქულა
2. ქუთაისი — 1097
3. ახალციხე — 928
4. ბათუმი — 757
5. სამტრედია — 352

II ᲯᲒᲣᲤᲘ

1. რუსთავი — 715
2. ჭიათურა — 368
3. ფოთი — 288
4. გორი — 248
5. ზუგდიდი — 232
6. ტყიბული — 224
7. წყალტუბო —112

III ᲯᲒᲣᲤᲘ

1. გურჯაანი — 72
2-3. ამბროლაური — 56
2-3. ყვარელი — 56
4. ქობული — 32
5. ხაშური — 24

IV ᲯᲒᲣᲤᲘ

1. სამტრედია — 240
2. ლანჩხუთი — 200
3. წყნეთი — 138
4. ცაგერი — 64
5. ბაზალეთი — 56
6. ზესტაფონი — 48
7. ვანი — 40

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ

1. „გემოვნება“ — 2664,2
2. „სპარტაკი“ — 1567,4
3. „ბურევესტნიკი“ — 1032
4. „კოლმეურნე“ — 975,3
5. „დინამო“ — 852,8
6. „ლოკომოტივი“ — 290,2
7. განათლების სამინისტრო — 240,9
8. „შრომითი რეზერვები“ — 206,2
9. „ვოდნიკი“ — 166,9
10. ახ — 10

ᲙᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

1. თბილისი — 432
2. ახალციხე — 360
3. ქუთაისი — 280
4. ბათუმი — 148
5. სამტრედია — 56

II ᲯᲒᲣᲤᲘ

1. რუსთავი — 181,4
2. ჭიათურა — 160
3. ზუგდიდი — 130
4. ფოთი — 88
5. გორი — 72
6. ტყიბული — 40

III ᲯᲒᲣᲤᲘ

1. ქობული — 32
2. ამბროლაური — 24

IV ᲯᲒᲣᲤᲘ

1. წყნეთი — 112
2. სამტრედია — 64

ველოგრძელა

სამჭედლოს საქსონიის ტრადიციულ საერთაშორისო მრავალდღიანი ველოერბოლის მეექვსე ეტაპი პოლანდიელ ველოსიპედისტმა ნიკოლა ფირზოვიჩის გამარჯვებით აღინიშნა. მან 130 კმ-იანი მანძილი 2:47.01 დაფარა. ასპარეზობას ძალზე რთული სპორტსმენი დ. ლიუბიჩნი და ბენერი ჩათვლაში ეკ წინაა გდრ-ის ბაერებიც. ამ გუნდის წევრმა უკე რაამმე მეორე ადგილზე გადაინაცვლა და მხოლოდ 20 წამით ჩამორჩება საბჭოთა მრბოლს. «მეოდიან ველოორბოლაზე» გამარჯვებული ი. ლუდვიგი (გდრ), რომელიც ბანამდე თავისი მთავარი კონკურენტი იყო, მეექვსე ეტაპზე წარუმატებლად გამოვიდა და ახლა მეათეა. იგი ლიდნიშნს, რომელიც ლიდერის ნარინჯისფერ მაისურში გამოვიდა, თითქმის 7 წუთით ჩამორჩება.

რაბათი. ა. ლუპალენკომ გაიმარჯვა მოროკოს საერთაშორისო მრავალდღიანის მეოე ეტაპზე. ეს 127 კმ-იანი ურთულესი ტრასა, მთაგორიან ადგილებში რომ გადიოდა, ოდესელმა 3:26.16 გაიარა.

ასპარეზობას ლიდერობს გდრ-ის წარმომადგენელი ა. პეტერმანი.

ხელბურთი

კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა ვრასნოდარის „სილნაზტიხნა“ 32:18 (18:7) და სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე გაინაღდა ოქროს მედლები; მეორე ფინალური ტური წინ, რომელიც მასის შეა რიცხვებში კრასნოდარში გაიმართება. ჟენერესი 6 გუნდის სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ყოველ „სპარტაკს“ 54 ქულა აქვს, კრასნოდარის „სილნაზტიხნას“ 39, ბაქოს „იეტემობილისტს“ — 34, მოსკოვის „ლუჩს“ — 28, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდს — 26, ნევინომისკის „აზოტს“ — 24.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ პოლონელნელად გარდაცვალა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, XV ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

ნ. ი. დუმბაძის დამკრძალავი კომისიისაგან

საბელოვანის სპორტსმენის, პატივცემული საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. ი. დუმბაძის დაკრძალვის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ორგანიზაციის შემდეგი შემადგენლობით: ი. ა. გოგლიძე (თავმჯდომარე), ნ. შ. ბიწურაძე, ე. ს. გოკელი, ნ. ა. ფქანია, ნ. ვ. გეგახარია, გ. გ. ქართველიშვილი, დ. მ. ოსესანინი.

ნ. ი. დუმბაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ი. დუმბაძის დაკრძალვა კომისია აცხადებს, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 17, 18 აპრილს ათარაგებულის ქ. № 30, 19 აპრილს დღის 11.30 საათიდან ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში. დაკრძალვა 19 აპრილს საბერობოში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ადგილობრივი გაზეთი
ლელო

წავიდეთ ეზოებში, ვიმუშაოთ გავშვებთან!

ახალგაზრდები ფიზკულტ სრულფიზიურ ისევე უნდა ვზრუნავდეთ, იმდენივე დროს უნდა გუთმობდეთ, რამდენსაც მის ინტელექტუალურ განვითარებას ვახმართ.

ჩვენს ეპოქაში ბავშვის მტერი გახდა უმოძრაობა, კომფორტი. ვადაქცეთ ფიზკულტურა ინფორმაციად თანდათან ბოჭავს ბავშვს და საგრძნობ დაღს ასვამს მის ჯანრთველობას. არადა, მოძრაობა მოზარდისათვის ჰაერივითაა საჭირო. ბაღში ისე უნდა იყოს დატვირთული, იმდენს უნდა მოძრაობდეს, რამდენიც ეს ამა თუ იმ ასაკშია საჭირო.

სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა მოძრაობითი აქტივობის მოთხოვნილებას. გარდა ამისა, არც სპორტულ წრეებსა და სექციებშია მეცადინეობები ჯეროვნად მოთხრილი. კიდევ რომ გავხაროთ სპორტკლასთა რიცხვი, ფიზკულტურის გაკვეთილების საათობრივ დატვირთო, მაინც ვერ დავაკმაყოფილებთ „მოძრაობის შიმშილს“. ამიტომ საჭიროა გამოვნახოთ მეცადინეობის ახალი ფორმები, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოზარდმა ყოველდღიურად იმოძრაოს.

მოძრაობითი აქტივობის გაზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი შეუძლია შეასრულოს საცხოვრებელი ეზოების მიხედვით ორგანიზებულ სპორტულ შეკრებას. ეზო ყველაზე გამოსადეგი ადგილია, საჭიროა მხოლოდ მისი ისე მოწყობა, რომ მოზარდს სათამაშო და გასართობი პირობები ჰქონდეს. ეზოს მნიშვნელობაზე საუბარს ალარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ბოლო ხანს სპორტული მოედნების კეთილმოწყობილი ეზოების რიცხვი დღითიდღე მატულობს, თუმცა არის ისეთი ეზოებიც, რომლის ბავშვები მოედნის მოწყობაზე ოცნებობენ.

საცხოვრებელ დგომებში მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას აქტივისტები და ენთუზიასტები არასოდეს მოკლებია. მათი თაოსნობით ჩვენი რაისპორტკლუბის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა ათეულობით სპორტული კლუბი, ჩამოყალიბებულია სპორტული სექციები. ფართოდაა გაშლილი შეკრებების სპორტინსტრუქციონ-სპორტაციონ კანტორებს შორის, გარკვეული წარმატებებიც გვაქვს, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ ეზოში სპორტულ-გამაჯანსაღებელი მეცადინეობები სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ზოგიერთი სპინინგ-საექსპლოატაციო კანტორა დაუშვებს პედაგოგ-ორგანიზატორის სამუშატორ თეულ. გაჩნდა, ასე ვთქვათ, ახალი პრობლემა. ასრულდა დიდი პედაგოგის ა. მაკარენკოს ოცნება, რომელიც თავის დროზე ასე არიგებდა განათლების მუშაკებს: „წადით ეზოებში და იმუშავეთ ბავშვებთან. გახსოვდეთ, რომ აღმზრდელობითი პროცესი დღვანწეს ყოველ კვალრატულ მეტრზე ტარდება“.

ეზოებში მუშაობა სოციოლოგიური პრობლემაა და შესწავლას მოითხოვს. სპინინგ-საექსპლოატაციო კანტორებს ხელმძღვანელებმა, რაც უნდა კარგად წარმართონ მუშაობა, საყვეთილო პედაგოგ-ორგანიზატორიც რომ შეარჩიონ, მაინც გაუჭირდებათ უბანში მუშაობა, რადგან მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებში უამრავი ბაჭვი ცხოვრობს. მათთან მუშაობა ერთადერთ პედაგოგ-ორგანიზატორს, რასაკვირველია, გაუძნელდება. არადა, ყველა მერრიათში ორი ან მეტი საშუალო სკოლაა, სადაც პედაგოგთა მთელი არმია მოღვაწეობს. განა შეიძლება სკოლის პედაგოგებმა ეზოებში ბავშვებთან მუშაობა თავი აარიდონ? ეს ხომ იმას ნიშნავს მოსწავლეების აღზრდაზე თვალ-უყურა? აღმზრდელობით მუშაობაში ხომ ყველა პედაგოგი უნდა ფეხდაფეხ მონაწილეობას. საამებელია, მოსწავლეებთან სკოლის გარეთ მეცადინეობას სკოლის ხელმძღვანელები რატომღაც თავს არიდებენ. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში სკოლები და სახლმამართველობები ერთობლივი ხელმძღვანელობით აწარმებენ სპორტმოედებს, ხოლო ეზოებში ხელმძღვანელობით მუშაობას ვერავინ ითავისებს. ამას კარგი შედეგი გამოიღო.

სახლმმართველობების მუშაობაში სკოლის ხელმძღვანელებსაც უნდა ჩაებან მშობლები, რომელთა დახმარებით შეიძლება მოეწყოს სპორტული მოედნები, ჩატარდეს სპორტული ღონისძიებებიც.

სპორტული მუშაობა სატოვრებელ ადგილებში ბევრ პრობლემას გვიჩენს, მათგან, ჩვენი აზრით, მთავარია სპორტული მოედნების მოწყობა.

მოეწყობა თუ არა ჩვენს ეზოებში ბავშვთა სათამაშო ადგილები, სარბენი ბილიკები, ჩოგბურთის კორტები, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები, ეს უყველაფერი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. ეზოს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდის და ჩამოყალიბების საქმეში, ამიტომ მზრუნველ ხელს არ უნდა ვაკუღებდეთ მის კეთილმოწყობას.

ამასთანავე, რომ მასობრივად ჩავაბათ მოზრდები სპორტში, მთავარი და ძირითადი ამოცანაა ბავშვებს შეეუქნათ ფიზკულტურით მეცადინეობის პირობები იმ ადგილებში, სადაც ისინი ცხოვრობენ და სწავლობენ.

ქ. ხალუვაძე.



გაიმარჯვეს თბილისელებმა

ახალბანს რუსთავში ჩატარდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოთა მოჭადრაკეთა სპარტაკიადა. შეჯიბრებაში, რომელიც „დინამოს“ 60 წლის თავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ აფხაზეთის, თბილისის, რუსთავისა და ზუგდიდის გუნდები. თითეული კოლექტივი 3 ვაჟითა და ერთი ქალით წარსდგა.

გაიმარჯვა თბილისის გუნდმა (ოსტატი რ. იაკობაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ვ. დიდებულიძე, ი. ჩაჩუა, მ. მარტიროსი) — 10 ქულა. II ადგილზეა ზუგდიდის გუნდი — 8. ამდენივე ქულა მოაგროვა აფხაზეთის კოლექტივმა, რომელიც კოეფიციენტით უპირველ მისგუნებელთა გამო III ადგილზე გავიდა.

გ. ფაილიანები,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკანდიდატო კატეგორიის მსაჯი.

ცეცხლის ხაზზე — თერჯოლელები

თერჯოლის დინამოელის დახურულ ტიპის სპორტსაზოგადოება „კოლეურნეს“ რაიონულ საბჭო -ჩაატარა რაიონული პირადი-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლაში. შეჯიბრება მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-სახელო ფლოტის დღეს და საბჭოთა საკარისკაცოლის 62-ე წლისთავს.

რაიონის წარმომება-დაწესებულებების და კოლეგიურნეობების გუნდებს შორის პირველი სამი საპრიზო ადგილი განაწილდა ნახშირულის, ჭევილა სიმონეთის ცოლმეურნეობების და „სამტრესტის“ ღვინის კომბინატის სპორტსმენებმა.

ვაჟთა შორის 86 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა რუხთოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ი. ლილუაშვილმა.

ქალაქში 78 ქულით უძლიერესის სახელი მოიპოვა თერჯოლის რაიონული საავიამფრთოს გუნდის წარმომადგილემა ი. სოფრომაძემ.

ვ. კუბალაძე.

„ვარჯიში ყმელას უნდა“

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარშვილობას“.

ბრ. ორბელიანი.



ბრძოლა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, თავიანთი ღირსეული მასწავლებლების მსგავსად, ქართველმა სამოციანელებმა და მომდევნო თაობამ სპორტული მოძრაობის ფრონტზეც გაიჭიღა, „ვარჯიში ყველას ესაჭიროება, თავადი იქნება იგი თუ მდაბიო“. — ასეთ მოწოდებას იქვითად როდი ვხვდებით მათს წერილებში. ჯერ კიდევ 1866 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ვ. მაჩაბელმა საყარიდ განაცხადა: „ყმაწვილებას აღზრდაზედ ერთი და იგივე პირობა უნდა გახსოვდეს: იმათი სიმრთელე და ხასიათი სულ ერთია და ერთი და იგივე კანონით იხსნებანა, თუნდ ცხოვრებილნი იყვნენ და თუნდ უკანასკნელ მუშისანი“.

—ზოგიერთი მოფაზე გვარწმუნებს, რომ ადრე ჩვენში კლასობრივი სხვაობა სპორტში არ არსებობდა, „თავადი, აზნაური და გლეხი ერთად იღებდნენ მონაწილეობას ბურთაობაში“ (ცდროება“, 1880, № 90). უფრო მეტიც, სპორტული ჯიხიბრება „იყო ნამდვილი დღესასწაული წოდებათა შორის გათანასწორებისა: მარდი ბერგბაში მაღალი წრის წარმომადგენელთა მონაწილეობა ხშირად საერთო კლასობრივი ბრძოლის გამოვლინების კიდევ ერთ მიზეზი ხდებოდა. ვხსომობ, ერთ ხალხურ ლეგენდაში, როგორ აბუჩავებს უსამართლობას ფალავანობით გამოჩენილი ქართველი გლეხი:

„საჭიდაოზე ჩავედი, იდგა მზიანი დღეები,
გამომიწვია თავადმა, ბიჭებმა მითხრეს: შეეხე!
ჩავედი, წამოვიკიდე, ავაყირავებენ ბუეები,
მაგრამ მის აზნაურებმა შავად ჩამიჭრეს დღეები“.

გასულ საუკუნეში „პოლომა ხალხმა“ თავადეულ უღალტე საყვარელ ვარჯიშებს და ახალი დროის „სენმა“ სხვა საშეალებებით შეცვალა მათი ფიზიკური აღზრდის არსენალი, ისინი „ღირს დასდევენ იმისთანა დღესასწაულებს, რომლებშიაც ჯერ კიდევ იხატება რამდენიმე ჩვენი ხალხის ჩვეულება და ხასიათი. ამათ უფრო იტალიური ოპერები, კონცერტები და რუსული წარმოდგენები გაუმათვენ, თორემ უამისოდ ვერ გაძლებენ“ („დროება“, 1887, № 87). „ეხლა, — შენაშნავდა მკვირცხლი ბურთაობა, კარგი სიმღერა-გალობა, ხელ-უფების შანარდე დაუფასებენ თვისებათ შეადგენენ რაინდულ დროში. თვითეული ამ ღირსებათაგანი გამოსადეგი და სასარგებლო იყო... ლხენის მოსაღებად საამისონო ვარჯიშობა: მიზანში სროლა, ყაბახი, ბურთობა და ცხენის თამაში“.

ღასწინშავდა, რომ ჩვენი გულხობა კვლავ ეროვნული დარჩა საუკუნეები გართხობა-თამაშობების, მაგრამ ამ ეროვნულის ნაცვლად ლხვრის ჩასცა დროის უკუღმართობამ, სოციალური ზვედნიერებამ და ეკონომიურმა დაბეჩავებამ. ასი წლის წინანდელ ერთ-ერთ საგაზეთო კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „უწინ ამ სოფლურ მხიარულებაში თითქმის ყველა იღებდა მონაწილეობას, მოხუციც და ახალგაზრდაც; მას აქეთ ოცი, ოცდაათი წელიწადი, ბეტი არ იქნება; ეხლა კი მაგაებისათვის აღარაეინა სცალიან, აღარავინა სცხელა. რა დროს თამაში და სიმღერაა, თუ ღმერთი გწყნს, როდესაც ფოშტის ფული და სხვა მრავალი გადასახადი პირანათლად ვერ მოგიშორებია და შიშის კანკალით მოელი, ვინა ან ძროხა და ან ხარი გამოყიდონ და დავრჩე მერე შიერ-მწყურვალიო“.

ერთი წლით აღრე ცნობილმა ეთნოგრაფმა ივანე გვარამაძემაც დაუფარავად გაბაასებია „ცროება“ ფურცლებზე: „სახელწოდები გართასაბედი, ულინდისო მოხელეს მიერ მუხლის ჩაგრა, მოსამართლეების ქრთამი, ბატონის სამსახური, მდელის სამლოცელო და მისთანანი ათას სულ გლეხობის ზურგის. ტკირთად არის გამხდარი, იმის ზიდვას ვეღარც კი ასელი და სათამაშო-სავარჯიშოდ

ნოთ იმავე ი. მეუნარგაის: „ახალ-ქალისაც და სხვა დღესასწაულებზედ ეგ საზოგადო თამაშები მრავალჯერი იყო: ჯირითი, ბურთაობა, მარულა, ჭიდაობა და სხვა. ჩვეულებრივ ყოველს ამ თამაშს ითამაშა და იმავე დროს შეექცეოდნენ და შეექცევიან დღესაც, თუმცა ეუნიერებით და ეხლანდელს თამაშს „შუა უძევს დიდი მხეარი“. ალარ არის უწონელი „ჯარისანაა“ არც დამწყრეთა სიმრავლით და არც მოთამაშეთა სიჩაუქ-სიალფენით. აწ ვეღარ იხილავთ ამ რიანდ ტიპაჟინებს, რომელთა ჯარიანობა იყო იღეალი ცხენოსნობისა, სიცქფილსა და სიმარდისა; ვერ ნახავთ ფალავნების ჭიდაობას — შესანიშნავი ფიზიკური ღონისა და ხერხების შეერთებით; ვერ ეღირსებით იმისთანა ბურთაობის ხახვას, რომელშიც ათასი ეთ-ჯაცება, რო მხარიდ გაყოფილი, ჯანის სიმრთელეს და სიცქფილს იჩენდნენ... ვერც იმ მარულას სნაბავთ, რომელსაც ულელთა და გულთ ცწრაფებთნდენ ხნიერნი და ჭაბუნნი... უფლთა გენახათ ენლანდელ „ჯარიანის“ ჯირითი! ვამეკუთვნ რაღაც ჯობიკა, პაყაჯ-პაყაჯი ცხენები, უხაროებითაც მოსაოთა ღვედების ნაცვლად ბეერს პაწრები მოუბამს და აბაჯნდის მაგიერ — სარდინის თევზის კილოები“.

ბრძოლა შშრომელ ადამიანებს შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის ჩვენს პროგრესულმა მოღვაწეებმა თითქმის ერთგვარ-გამმათავისუფლებელი მოძრაობის დინებდე აიყვანეს. ისინი დაუფლობად კიცხავდნენ მთავრობის შესვეურთ, როდესაც არ ქმნიდნენ ვარჯიშობისათვის საჭირო ელემენტარულ პირობებსაც კი. თუმცა მათ მოთხოვნებს ლარიბთათვის საკარჯიშო პირობების შექმნის თაობაზე თითქმის არ მოქჩნდა შედეგი და, ფაქტიურად, იგი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ავთანდილ ციბაძე.

გაგრძელება. დაბაწყისი იხ. „ლელო“ № №39, 43, 57, 67.

თამაშობენ საბჭოთა ფეხბურთელები

გასულ ოთხშაბათს გაიმართა საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები.

ფშვიცარია — სსრ კავშირი 0:1 (0:1)

ლოზანა. „ოლიმპიკის“ სტადიონი. 15.000 მაყურებელი.

ფშვიცარია: ბურგენერი, ბაუერი, ლიუდი (ან-ალბინი), ეგლი, ვეილი (ბრიგერი), ჰერმანი, ფაშო, დეკარტელი, ცვიკერი (ბრაშლერი), ჯონგე, ხეფლერი.

სსრ კავშირი: ფახრეტდინოვი, ჩივაძე, ბალტაჩა, დემნიანჩკო, ბალი (ოსმანჩალი), ბესხოვი, სულკვედინი, ჩერიშკოვი, როდიონოვი (ზენკეევი), ბლოხინი.

მხოლო 8, ხაზე (საფრანგეთი).

შვეიცარიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მამენ ბლოხინის ამ ფეხბურთელის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარის, განსაკუთრებით საბჭოთა ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც 27 აპრილს ევროპის ჩემპიონატის კლუბებრივი შესარჩევი მატჩი აქვთ პორტუგალიის ნაკრებთან.

საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე ხელი აიღეს ინიციატივა და გაბედულად, გაწელილი ფრონტით შეუტიეს, ეერიშებში ხშირად მონაწილეობდნენ ნახევარდაცვისა და დაცვის მოთამაშეები.

38-ე წუთზე ფემიანენკომ მარცხენა ფლანგიდან გადაწოდა ბალს, ბამ — ბლოხინს და ამ უკანასკნელმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერას გაბედნენ და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

საბჭოთა ნაკრებმა ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა, გამოირჩეოდნენ მცველები და მეკარე დასვენდა, მაგრამ საკმაოდ ხარვეზები ბანვივარდაცვისა და თავდასხმის თამაშში, კერძოდ, ისინი პასიურად მოქმედებდნენ შესვენების შემდეგ, რითაც საშუალება მისცეს შვეიცარიელებს შეეჭმნათ რამდენიმე სახიფათო მომენტი.

სსრ კავშირი — გდრ 3:1 (2:0)

საბჭოთა ოლიმპიელ ფეხბურთელებს 18 მაისს სტუმრად კალინინგრად მატჩი ანდა პოლონელ გუნდთან და ამიტომ მეტად საინტერესო იყო მათი საკონტროლო შეხვედრა ხარკოვის „მეტალისტის“ სტადიონზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ გუნდთან. თამაში მომდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა ზაგარომა, მაგრე ხანში კი მეორე ბურთი გაიტანა გაზაევმა — 2:0.

შესვენების შემდეგ გერის ეკიპაჟმა 11-მეტრიანი დარტყმით შეძლო ერთი საპასუხო ბურთის ჩატანა, მაგრამ 75-ე წუთზე გაზაევმა კვლავ გამოიჩინა თავი და ანგარიში ათვალა 3:1-მდე.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების მომზადებლობამ ამ დღეს გამოდიოდნენ: ვიაჩ. ჩანოვი (სიევსა), კაპლენი (ლუჩნენკი), ბელიაილოვი, სოროკალუტი, ფუმაკოვი, ვეღენკევი (ლუჩნაკოვი), გოცმანოვი, გურინოვიჩი (ვრაჩოვი), ზავაროვი (ალემენტიევი), ქეროფანი, გაზაევი.

სსრ კავშირი — რუმინეთი 2:0 (0:0)

ოდესაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

* * *

სულ მაღე, 2 იენისს, მექსიკაში დაიწყება ჰაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას სსრ კავშირის ნაკრებიც.

საკვლევ-კორესპონდენტთან საუბარში ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. კისელოვმა განაცხადა:

— ჩვენი ნაკრების რამდენიმე წევრმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი უმაღლესი ლიგის გუნდების შემადგენლობებში, მათი უმეტესობა უკვე საკმარისად გამოცდილია ჯაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებებში. მათ შორის ალენიშნავ მკარე პალამარჩუკს, აგრეთვე — დოროას, ერიომენკოს, კორატკევს, დემიდოვს და სხვებს.

მეკსიკაში დაძაბული ბრძოლა მოგველის უკვე წინასწარ ჯგუფში, სადაც ჩვენთან ერთად გამოდიან ბრაზილიის, პოლანდიისა და ნიგერიის გუნდები. მათი შესაძლებლობები საკმარისად გვაქვს შესწავლილი, შევიდეთ გამოვიყენთ მეტოქეთა სუსტი მხარეები. ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთელები არაფერს დაიშურებენ, რათა წარმატებით თამაშობ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 19 ივნისიდან გაგრძელდება.



გუშინ ბაქოში გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ნეფთჩისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა მორიგი ტურის კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ“ უმასპინძლა დონეცკის „შახტიორს“.

თამაში მიიგეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა კახანაძემ. ამას გარდა „დინამომ“ ვერ გამოიყენა პენალტი.

მასპინძლები ასეთი შემადგენლობით თამაშობენ: აბუზერიძე (ცუცა), ფრუიძე, ანდღულაძე (ქვლა), იაშვილი, არზანაძე, ლოგუა (კუდინოვი), კოპალეიშვილი (ჩიქოვანი), ცაავა (ბარათაშვილი), კახანაძე, ერრეკაშვილი, მესხი (მიქაბერიძე).

„სიჩქარეში თასზე“

დამთავარა ფეხბურთში „სიჩქარეში თასის“ რესპუბლიკური გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

მოგვყავს შეკრებილის ამ ტურნირის შეხვედრათა შედეგები: ცხაკაია — ხობი 2:2, 3:2, „ვანთიადი“ (ქუთაისი) — თბილისი-IV 3:1, 1:3, დამატებითი პენალტების გამარჯვეს ქუთაისელებმა (4:3), ცხინვალი — გაგრა 5:0, 1:2, თბილისი-I — ბათუმი 9:0, 0:0, თელავი — ბოლნისი 1:1, 3:1, თბილისი II— გორი 4:0, 3:0.

საგანგებოდ ვგონებ აღვნიშნოთ, რომ ცალკეულ ფეხბურთელებთან ხათამაშოდ არ გამოცხადდა თბილისის III გუნდი, რაც არსებული წესის უხეშ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ. თბილისელთა გუნდი გათამაშებიდან მოიხსნა. საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემენ ამის თაობაზე თბილისის სპორტკომიტეტი და ფეხბურთის ფედერაცია?

მოხდა სხვა დარღვევაც: **ბოლნისელმა და რუსთაველ გუნდებს ხასპუნის მატჩში ბოგანოველებთან ხათამაშოდ არ ჩაეფინენ რუსთაველი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოგანოველებს ხპორტული ხელმძღვანელები ხელოვნურად არ ადარდებთ მათ რაიონში ჯაბუკთა ფეხბურთის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საქმე.**

მეოთხედფინალში მეჩეტქედი ასე დაწყვილდნენ.: ცხაკაია — „განთიადი“ (ქუთაისი), ცაგერი — ცხინვალი, რუსთავი — თბილისი-I, თელავი — თბილისი-II. 17 აპრილს თამაშები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდორებზე, ხოლო სპასუხო მატჩები — 24 აპრილს შეიდგმა.

ი. ბოგოლაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილების უფროსი მწვრთნელი.

26 მაისს დაიწყო სსრ კავშირის 1983 წლის, ივნიან 46-ე, ჩემპიონატი ფეხბურთში. ისევე როგორც შარშან, უმაღლეს ლიგაში 18 გუნდია: „დინამო“ (მინსკი), „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი), „არარატი“ (ერევანი), „ფახთაკორი“ (ტაშკენტი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „დინამო“ (მოსკოვი), „მეტალისტი“ (ხარკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), ცსკა, „ნეფთჩი“ (ბაქო), „ფაკელი“ (ვოლნოვუხი), „ნისტრუ“ (კიშინიოვი).

1 ლიგაში 22 გუნდი: „ყუბანი“ (კრასნოდარი), „ქიმიკი“ (ვლადიმირი), „ლოკომოტივი“ (ლიპეცკი), „ფაკელი“ (ვორონეჟი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „შინაკი“ (იაროსლავლი), „დუშგაგა“ (რიგა), „პამირი“ (დუშანბე), ასკ „კარპატი“ (ლვოვი), ასკ (დინის როსტოვი), „მეტალურგი“ (ჩაპაროვეცი), „ტყვრია“ (სიმფეროპოლი), „როტორი“ (ვოლგოგრადი), „დინამო“ (კიროვი), ასკ (ბაბაროსკა), „ასკრა“ (სმოლენსკი), „გურია“ (ლანჩხუთი), „ზვეზდა“ (კიზაკი), „ნეფტჩი“ (მოგილიოვი), „ქიზლარი“ (კეჩხოროგო), ტაქსტილშჩიკი“ (ივანოვო).

სსრ კავშირის ნაკრება გუნდების საწყისნილი შეკრების ან სერთაშორისო შეხვედრათა დროს, ის ცლუბები, რომელთა მოთამაშეები ნაკრების გამოდიან, საკვშირო ჩემპიონატისა და თასის მატჩებში ამ ფეხბურთელთა გარეშე მონაწილეობენ.

სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში დაწყებულია მოთამაშეთა შეცვლის შემდეგი ლიმიტი: უმაღლეს ლიგაში — არაუმეტეს 2 მოთამაშე, პირველ და მეორე ლიგებში — არაუმეტეს 3 მოთამაშე, უმაღლესი და პირველი ლიგების ფეხბურთელებისათვის მატჩის შეხვედრებში — არაუმეტეს 6 მოთამაშე. სსრ კავშირის თასის მატჩებში ყველა ლიგის ფეხბურთელებს შეიძლებათ 3 მოთამაშე.

თუ გუნდი (ძირითადი ან სათადარიგო შემადგენლობა) რაიმე მიზეზის გამო არ გამოცხადდა კალენდარულ თამაშზე, მას დამარცხება ჩაეთვლება, ხოლო განმეორებითი გამოუცხადებლობისათვის, აგრეთვე, სპორტული დისციპლინის უხეში დარღვევისთვის იგი შეიძლება მოიხსნას კიდეც შეჯიბრებიდან. იმ შემთხვევაში, თუ გუნდმა ჩატარა კალენდარულ შეხვედრათა ნახევრზე ნაკლები, მისი შედეგები უქმდება, მაგრამ თუ ნათამაშევი მატჩების რაოდენობა 50 პროცენტს აღემატება, იმ შეხვედრათა შედეგებში ძალაში დარჩება. იმ მეტოქეებთან, ვისთანაც გუნდს არ უთამაშია, მას ეწერება დამარცხება ანგარიშით 0:3. დისკვალიფიცირებული მოთამაშის მინდორზე გამოყვანის შემთხვევაში გუნდს ეთვლება დამარცხება, მეტოქეს — გამარჯვება, ხოლო გატანილი და გაშვებული ბურთები უქმდება.

კვლავ შენარჩუნებულია ფრეთა ლიმიტი უმაღლესი და პირველი ლიგების ძირითადი გუნდებისთვის: უმაღლეს ლიგაში 10 ფრე, პირველ ლიგაში — 12. ამ ლიმიტის შემდეგ ფრედ დამთავრებული მატჩებისთვის გუნდებს ქულები არ ეწერება.

თუ ორმა ან მეტმა გუნდმა პირველი ადგილისთვის ბრძოლისას მოაგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა (ეს ეხება ყველა ლიგას), მათ შორის ინიშნება დამატებითი თამაშები ერთ წრედ, ნეიტრალურ მინდორზე. ყველა დანარჩენი ადგილი, თუ პრეტენდენტებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ, განისაზღვრება გამარჯვებათა ტიპი რაოდენობით, თუ ამასაც სითანაბრეა, უპირატესობა მიენიჭება. შემდეგ, მაჩვენებლებით: ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩების შედეგი და გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით, ყველა შეხვედრაში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით, ყველა შეხვედრაში გატანილი ბურთების უმეტესი რაოდენობით. თუ ყველა ზემოჩამოთვლილი მაჩვენებლებიც ერთნაირი იქნება, უმაღლესი და პირველ ლიგებში გუნდებს უპირატესობა მიენიჭებათ დეფლიორთა მიერ ნაჩვენები უკეთესი შედეგებით, ხოლო მეორე ლიგაში — წილისყრით.

გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგაში მე-17 და მე-18 ადგილებს დაიკავებენ, 1984 წლისთვის პირველ ლიგაში გადაეცემენ, ხოლო მათ ადგილებს პირველ ლიგაში I და II „ადგილებზე გასული გუნდები დაიკავებენ. პირველ ლიგაში მე-20, 21-ე და 22-ე ადგილებზე გასული გუნდები გადადიან მეორე ლიგაში და მათს ადგილს დაიკავებენ მეორე ლიგის ფინალური ტურნირებში გამარჯვებული (3 გუნდი).

უმაღლეს ლიგაში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, მოთამაშეები დებულებებ ოქროს მედლებს (უფროსი მწვრთნელი, გუნდის უფროსი რაოდენობით, ჰყავდეს კვალიფიციური დიქტორი, ყოველი ინფორმაცია საქონია გადაეცეს დროულად და ზუსტად.

თუ კალენდარული თამაში ჩაშალა ერთერთი გუნდის ფეხბურთელთა უდისციპლინობის გამო, მას ჩაეთვლება დამარცხება, ხოლო თუ უშუალო ბრალეულობა ორივე გუნდია შემჩნეული, დამარცხება ორთვეულა ორივე მხარეს.

თუ მატჩი ჩაშალა მაყურებელთა უდისციპლინობის გამო, მინდორის შეპატრონე გუნდს — ჩაეთვლება დამარცხება, თამაშის შედეგი, აგრეთვე, გატანილი და მიღებული ბურთები უქმდება.

ასეთ შემთხვევებში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი და საკვშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო ურთიერთთან სხდომაზე განიხილებენ აღნიშნულ საკითხს და გადაწყვეტენ იმ სტადიონზე შემდგომ თამაშების ჩატარების შესაძლებლობას.

მსაჯნი ან მისი თანაშემწეების შეურაცხყოფისათვის, მაიზე ზემოქმედების ცდისთვის გათვლისწინებულია დისკვალიფიკაცია 10-15 თამაშით, ერთმანეთთან ჩხუბის ან უღირსი სიტყვიერისთვის— 5-10 თამაშით, მსაჯებთან სისტემატური კამათისა და მათი მითითებების შეუსრულებლობისა და მაყურებლებთან აპელაციისთვის — 5 თამაშით; მოწინააღმდეგისადმი განზრახ ფეხის გარტყმისთვის, რასაც ქვეცნობ ტრავმა მოჰყვა, დისკვალიფიკაცია ეძლევა 5 მატჩამდე, ხოლო თუ ასეთი აქციების შედეგად მოთამაშეს ტრავმა მიიღო — 10 თამაშამდე. მეტოქის შეურაცხყოფისთვის, სიმშვიდეისთვის, დროის განზრახ გაჭიანურებისთვის გაფრთხილებულია დისკვალიფიკაცია 3-4 თამაშით.

ფეხბურთელი, რომელიც მეორე გაფრთხილებას მიიღებს, ავტომატურად დისკვალიფიცირდება ერთი თამაშით, ხოლო ყოველი შემდგომი გაფრთხილებისთვის — 2 მატჩით. მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელები ავტომატურად გათიშულებენ უახლოეს კალენდარულ მატჩს და საგანგებო გადაწყვეტილებამდე ვერ მიიღებენ მონაწილეობას საკვშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშებებში.

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიება იმ მიზანს ემსახურება, რომ საკვშირო ჩემპიონატისა და თასის მატჩები ჩატარდეს მაღალ სპორტულ დონეზე, შინაარსიანად, ხელი შეუწყოს ჩვენი ფეხბურთის იმდაგლობას და მაყურებელთა ნორმალურ დასვენებას.

მოკლედ

ლისაბონი. პორტუგალიის ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩში მიიღეს უნგრეთის გუნდი. წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

ბუდაპეშტი. ამ გიმნაზია ლენინგრადული შეხვედრა უნგრეთისა და საბერძნეთის გუნდებს შორის. გიმნაზიკვეს მასპინძლებმა — 3:1 (1:1).

ბერა (ბრაზილია). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში დაამარცხა ბულგარეთის გუნდი — 3:0 (0:0).

თბილისის სპორტული ბაზებზე

შეხვედრები. საქართველოს ჩემპიონატი. 16 აპრილი. „სინათლის“ სტადიონი. — „ავტომობილისტი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

ალიკანტეში

ნ. ალექსანდრია — ტ. ლომაჯარის მატჩის მეოთხე გადადებულ პარტიაში ლომაჯარამ თამაშის განუახლებლად თავი დამარცხებულად ცნო. ამ მოგების შედეგად ალექსანდრია ორი ქულით უსწრებს შეტოქეს — 3:1.

გუშინწინ დიდოსტატებმა მეხუთე პარტია გათამაშეს ხუთსათითიანი პაექრობის შემდეგ იგი დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადადიდო..

ი. როგორც მიმდინარეობდა მეხუთე პარტია:

ლელაკო — ალექსანდრია

ახალინდური დაცვა

1. d4 ∆f6 2. c4 e6 3. ∆f3 b6 4. g3 ⊥a6 5. b3 ⊥b4+ 6. ⊥d2 ⊥e7 7. ⊥g2 d5 8. 0—0 0—0 9. ∆c3 ∆bd7 10. ∆e5 ⊥b7 11. ∆d2 e5 12. e3 ♔c4 13. ♔c4 ♘c4 14. ⊥b2 ♘c7 15. ♕c1 ♕a8 16. ♕e2 d♘c4 17. ⊥h3 c3 18. ♗x♘d7 ♘x♘d7 19. ♘xc3 ♘c8 20. ♘x♘8+ ♔x♘8 21. ♗c4 ♘c7 22. ♖e5 ♖d7 23. ♕e2 ♖c8 24. ♘d1 b5 25. ♗e3 ♗d5 26. ♗xd5 ♘x♘d5 27. ♔x♘b5 ♘f3 28. ♘b1 ♘c2 29. ♔f1 ♘g5 30. ♘a3 ♘xa2 31. ♘c5 h5 32. ♘a1 ♘xa1 33. ♔xa1 ♘b7 34. ♔f1 a6 35. f4 ♘f6 36. b4 ♖d7 37. ♔f2 ♖a4 38. ♘f1 ♖d1 39. h3 ♘e4 40. ♗g3+ ♔g6 41. ♖e2 ♖xe2+ 42. ♘xe2 ♘b7 43. h4 ♗d8 44. ♘c4 ♕g7 45. ♕g1 ♕f6 46. ♗g2 ♕f5 47. ♘e2 ♕f6 48. ♘d3 ♕g7 49. ♘c4 ♕f6 50. ♕e3 ♕f5 51. ♘e2 ♕f6 52. ♘d6 ♘b6 53. ♘d3 ♕g7 54. ♘c5 ♘d8 55. ♘e4 ♘d5 56 ♘d6 f5 57. ♘d3 ♘b7 58. ♘c4 ♕f6.



ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. ლომაჯარამ 59-ე სვლა ჩაიწერა.

ეს პარტია მეტოქეებს გუშინ უნდა დაემთავრებინათ.

დღეს, 16 აპრილს მეექვსე პარტია უნდა გაიმართოს.

ზ. რაბილ — ე. ტორეს მატჩის მეექვსე პარტია რიბლიმ მოიგო. ახლა მატჩის ანგარიშია 4:2 რიბლის სასარგებლოდ.

დღეს დიდოსტატები მეშვიდე პარტიას ჩაატარებენ.

...ბად-კისინგენში

ლ. პორტიშმა მოუგო ვ. კორჩნოის მერვე პარტია, მაგრამ მატჩში ვერა წინაა კორჩნოი — 5:3.

ვ. მურეშან — ლ. სემიონოვას მატჩის ანგარიში გათანაბრდა — 4:4. ეს მოხდა გუშინწინ, როცა რუმინელმა დიდოსტატმა მოიგო მერვე გადადებული პარტია.

...ფელდენში

ვ. სმისლოვმა და რ. ჰიუბნერმა გათამაშეს დამატებითი მეათე პარტია პრეკოფი პარტია. ამ დღეს პარტია დაუმთავრებელი დარჩა. 14 აპრილს მეტოქენი ყიამზე შეხვდნენ.

გუშინ დიდოსტატებს მეორე პარტია უნდა ეთამაშათ.

ARCHIVE OF GEORGIA

„სტუდენტური დღეები—62"

ასეთი წარმომადგენლობითი ტურნირი უმაღლეს სასწავლებლებს კი არა, ბევრ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებსაც შეშურდებოდა. და, ჭარბთელ მოქიდავეთა ტურნირში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტთა დღეებს მიეძღვნა, ოთო დღის მანძილზე 69 სპორტსმენმა სცადა ძალი. მათ შორის საერთაშორისო კლასისა და სპორტის ოსტატებიც იყვნენ. აღსათქმელებით, რომ ასეთი რამ ხშირად არ ხდება. საქმე ის იყო, რომ ხალისისა და ტატამის (ჭიდებისთვის თავისუფალ ხილობასა და ძიუდოშიც გამოდის) ოსტატებს „ფრენის გზა" არ ჰქონიათ კვარცხლბეკისაკენ — ადიარეთ აღიარებულ მოჭიდავეს მოეცალა ხელი ახალგაზრდებთან შეხვედრისთვის. აქ პირველ რიგში 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავანთა შეხვედრა იგულისხმება. რომელშიც სახალისო ბადებელი გ-ბა). გ. რთველაშვილი — უველა ანოტა ძველის სწორედ სულის მეცხრეკლასელმა რთველაშვილმა და უნივერსიტეტის ფალვანის სახატო სიტყვით მოიხვეჭა. მეორე ადგილზე ხარებია, მესამეზე — ზ. ჭიკაძე. დანარჩენ წორებში სტუდენტთა დღეებში გამართული ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: **56** კგ. ბ. ბერაია (სააღრიცხვო ეკონომიკის ფ-ტი), **60** ა. გოგიშვილი (ვაჭრობის ეკონომიკის ფ-ტი), **64** შ. ჩიკვრიშვილი, (სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფ-ტი), **68** გ. ფუთხუბრიძე (ეკონომიკის ფ-ტი), **79** ვ. ცაიშვილი, **87** ზ. ჭიკაძე, **ზძ**ძე წორხში ნ. ნეფაზარიშვილი (სამივე ვაჭრობის ეკონომიკის ფ-ტი). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი ვაჭრობის ეკონომიკის ფ-ტი, II — ეკონომიკის ფ-ტი, III — სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფ-ტი.

უ. ჭრიკიშვილი.

მომავალ სპარტაკიადაზე ფიქრით



„შრომითი რეზერვების" საორკესტრო სკოლის ბიანკის მოსწავლეები ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ

„შრომითი რეზერვების" საორკესტრო სკოლის სსრ VIII სპარტაკიადა აკრობატიკაში. მართალია, აკრობატიკა ჯერ კიდევ არ არის შეტანილი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში, მაგრამ როგორც აკრობატიკის სპეციალური ფედერაციის თავმჯდომარემ, სპარტაკიადის გმირმა მერონავა კოსმონავტმა ვ. ლებედევმა თქვა, „სავსებით კანონზომიერი იქნება თუ აკრობატები 1987 წლის სპარტაკიადებზე უფლებას მოიპოვებენ. ამისათვის საჭიროა უველა რესპუბლიკაში ხელი მოკიდონ სპორტის ამ ლამაზი, რთული სახეობის განვითარებას და პოპულარიზაციას. იმ ნიშნით, პერსპექტიულ სპორტსმენებს, რომლებიც ჩვენ საკმარისად გვყავს მოსკოვში, ლენინგრადში, საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიასა და წარმოიხსენიონ სამომეო აკრობატიკა საორთაშორისო სპორტია. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მასობრივი გავხადოთ ეს სახეობა".

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით შეკიბრებების ჩატარება მოასპარეზეთ გამოცდილებას შესძენს მომავალი სტარტებისათვის. ამიტომ ზოგიერთ რესპუბლიკაში, კერძოდ ჩვენთან, უკვე დაიწყეს ასეთი შეკიბრებების ჩატარება. არცთუ დიდი ხნის წინ გამართულ კლაქის სპარტაკიადაზე, როგორც ცნობილია არ გამოსულან წამყვანი სპორტსმენები, — ისინი ასპარეზობდნენ ბაქოში გამართულ ქვეყნის სუფევაში ჩემპიონატში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის 22 წარმომადგენლიდან ხუთმა ვერცხლის, ხოლო ოთხმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ერის საქართველო სპარტაკიადაში მონაწილეობა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის, ასკ-სა და „შრომითი რეზერვების" აკრობატთა სათადარიგო შემადგენლობა, სულ 17 სპორტსმენი. რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ეკატერინოსის ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის, სოხუმისა და ბაკოს 120 სპორტსმენი გამოვიდა. მათ შორის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, ქვეყნის ნაკრების წევრები მ. მნათობაშვილი, მ. შილაკაძე, ნ. ბერიანიძე, ი. დემორიშვილი, ი. ჩოხელი, ფ. ნიკოლაიშვილი, ზ. გაგოშელი, გ. მარშარიშვილი და სხვები. პირველ დღეს ნებისმიერი „პროგრამის შესრულები შემდეგ ლიდერობა ხელი ეიდეს თბილისელმა აკრობატებმა. ხტომაში უძლიერესები იყვნენ ჯ. ლაშის ლიზრდილები ი. ხოფერია და გ. მარმარაშვილი. გოგონათა დუეტში თავი ისახელეს ლ. ზანგულაძემ და ი. ჩოხელმა. ბიჭებში კი — დ. გაგოშელმა და ზ. ნიკოლაშვილმა (ორივე წყვილს ავარჯიშებს ა. სლიკაძე). შერეულ წყვილებში საუკეთესო შედეგი ჰქონდათ მ. სარჭიასის და ჯ. ლორიბოვს (შეწრთნელი ე. ბითაძე). ქალთა სამეულში ძალზედ ლიდერობდნენ ნ. ბერიანიძე, ი. დემორიშვილი და ი. ჩოხელი (ვ. გურგენიძე), მათ გაუსწრეს ტატულოვან სპორტსმენებს მ. მნათობაშვილსა და მ. შილაკაძეს, რომლებიც ახალ პარტნიორთან ერთად ასპარეზობდნენ. ბოლო ოთხეულში ლიდერობდნენ ა. სუთიძე, ა. ართვინიანი, ქ. აროთინიანი და ა. გაბრიელიანი (ვ. გურგენიძე).

გუშინ სპორტსმენები საველოდებელი პროგრამაში ეკიბრებოდნენ ერთმანეთს.

დღეს გაიმართება ფინალური ასპარეზობა.

ა. ალადაშვილი.

* * *

სურათებზე: ასპარეზობენ (ზარქუხელი ნ. ბერიანიძე, ი. დემორიშვილი, ი. ჩოხელი; ჯგუფი ოთხეულში: ს. სუთიძე, ქ. აროთინიანი, ი. აროთინიანი, ა. გაბრიელიანი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

რედაქტორი ა. გასილაია.

● ᲮᲐᲓᲠᲐᲯᲘ ●

საიუბილეო ჩემპიონატი

მოსკოვში, სსრ კავშირის 50-ე ჩემპიონატზე გაიმართა კიდევ ორი (VIII, IX) ტურის შეხვედრები.

VIII ტურში ძნაფრი თამაშის შემდეგ ყაიზე შეთანხმდნენ ბზნაიდარიანელი — პოლეგაევსკი, გელერი — მაღანიანი, ლუბოევი — ვასპანიანი და ფსახისი — რაზუვაევი. ოთხი პარტია გადაიდო.

მეორე დღეს ბელიავსკი დაწინაურებულ პეტროსიანს, კარპოვს უპირატესობა აქვს რომანიშინთან, ბალაშოვს — ავზომოვთან, ხოლო ტალ-ტუმკოვის შეხვედრა რთულ პოზიციაში შეწყვეტილი.

IX ტურის დაწყებამდე პეტროსიანი და ლერნერი ყაიზე შეთანხმდნენ შეიქმნა ტურიდან გადადებულ პარტიაში.

IX ტურში კარპოვმა იერშთან მოიტანა გელერის მეფეზე და 30-ე სვლაზე გაიმარჯვა. პირველად დამარცხდნენ რომანიშინი და ფსახისი. რომანიშინმა დროს გადაცილება ტუმკოვთან შეხვედრაში, ფსახისმა კი ვერ მოიგერია პოლუგაევსკის შეტევა, თუმცა მსხვერპლად ხარისხი ვაიღო. ბალაშოვმა კარგად ისარგებლა იუსუპოვის შეცდომებ გაბედული თამაშით, მოიგო პაიკ და პარტია. დაზავდნენ რაზუვაევი და ტალი.

მანვეულად წარიმართა ავზომოვ-პაღოსიანოვების თამაში, პარტია გადაიდო რიულ პოზიციაში.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვი) — 5 ქულა, ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი), ვ. ტუმკოვი (ოდესა), ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — 4,5-4,5, ა. კარპოვი (მოსკოვი), ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 4-4.

ფინიში დრამატული

დრამატული (გფრ) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 მოჭიდრაკე მონაწილეობდა. * მათ შორის იყო მაია ჩიბურდანიძეც.

დასკვნით, XI ტურში დიდოსტატმა ქალმა ყაიზით დაამთავრა შეხვედრა შვედ ოსტატ ბრაუნბერგთან და 7 ქულით IV ადგილი დაიკავა.

I-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ვ. პორტმა (ჩეხოსლოვაკია), ჰ. შუბამ (რუმინეთი) და საერთაშორისო ოსტატმა მ. ჩანდლერმა (ინგლისი) — 7,5-7,5.

შეღავათიო ბრძოლა

ცხაკაძეში გრძელდება საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი.

ჩინებულად თამაშობს ზ. ხვედელიძე (სამტრედია) და ქ. გოგია (ცხაკაძე). როგორც ვხედავთ, ხვედელიძე სამ-სამი პარტია მოიგეს. პირველმა ძლია ე. შონიას, ი. გვასალიას (ორივე — ცხაკაძე) და ნ. ბურეაშვილს (ხიდნაღი), მეორემ — ვ. მაშველიძეს (სოხუმი), ნ. მოსიაშვილს (ონი) და მ. ტაბატაძეს (ქუთაისი). მ. ცხვედიანმა (ქუთაისი) და მ. ჩაჩიბაიამ (ცხაკაძე) დაამარცხეს ერთპირველნი ლიდერი ლ. ლეკვა (სამტრედია).

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ხვედელიძე, გოგია, ცხვედიანი, ჩაჩიბაია — 7,5-7,5 ქულა და ლეკვა — 6,5.

ორნი ნაკრებში

19-21 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის ნაკრებს უფროსმა მწვრთნელმა ი. იარიგინმა უკვე შეარჩია ის ათი მოჭიდავე, რომლებიც ამ სპორტსმენებლო შეჯიბრებაში ისპარეზებენ: ს. ყარამჩაკოვი (48 კგ), გრანდიაშვილი), ნ. კარავაევი (57, მახარაძე), ი. გრიგორიევი (62, ჩებოქსარი), ი. გიგაური (68, თბილისი), ვ. ძუგუტური (74, ორჯონიკიძე), გ. მაკასარაშვილი (82, თბილისი), ჰ. ნანეიი (90, ლენინგრადი), ა. ხოდარცევი (100, ტაშკენტი), ბ. ბიგაევი (+100, კიევი).

3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(ა. წერეთლის პროსპექტი №2)

19 აპრილი

სსრ კავშირის ჩემპიონატი



„დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციის ბილეთები მეიყიდებით 18 აპრილს 10 საათიდან. ბილეთების სალრო გაყიდვა 17 და 19 აპრილს სტადიონის №1-№5 და №9-№16 სალარობებში 10 საათიდან.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და დამსახურებული მწვრთნელებისთვის, ოლიმპიური ჩემპიონების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისა და ჩემპიონებისთვის — №6 სალარობებში.

ამ გუნდების თამაშებიდან შემადგენლობით შეხვედრა გაიმართება 18 აპრილს 18 საათზე ვ. დიდებულიძის სახელობის სტადიონზე (26 კომისრის ხახ. რაიონი).

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის „შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ივეფდება ოპსეტური წესით. სტ. გაზეთო კორპუსში, ნოშაკაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07531